

საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი

არაგადამღებ სნეულეებათა დეპარტამენტი

თერაპიისა და კლინიკური დიაგნოსტიკის კათედრა

მეთოდური მითითება

საკურსო სამუშაოს (ავადმყოფობის ისტორიის) შედგენა და
ექიკრიზის ლიტერატურული ბაზორმება

საექტერინარო მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის

შემდგენელები: თ. მარხვაშვილი,
ასოცირებული პროფესორი

ლ. მანჯავიძე,
ვეტერინარულ მეცნიერებათა კანდიდატი

რეცენზენტები: ლ. მაკარაძე
სრული პროფესორი
შ. მაკარაძე
ასოცირებული პროფესორი

განხილული და მოწონებულია სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტის არაგა-
დამდებ სნეულებათა დეპარტამენტის მიერ ოქმი № 8 10 IV 2007

განხილული და რეკომენდირებულია სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტის ხა-
რისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ოქმი №6 16 IV 2007

ვეტერინარი ექიმის კლინიკური განათლება ყალიბდება შესაბამისი კლინიკური დისციპლინების თეორიული საფუძვლების ათვისებით, ცხოველთა დაავადებების დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და პროფილაქტიკის პრაქტიკული ჩვევების დაუფლებით.

სასწავლო გეგმის თანახმად დაწარმოებული და დაუსწრებელი ვეტერინარული ფაკულტეტის სტუდენტი ვალდებულია შეასრულოს საკურსო სამუშაო.

სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა და ფრინველთა შინაგანი არაგადამდები დაავადებების სავანში საკურსო სამუშაო სრულდება ორ ვარიანტად.

პირველი ვარიანტი – ცხოველთა დისპანსერიზაციის ჩატარება (მსხვილი რქიანი პირუტყვი, ღორი, ფრინველი) ერთი მეურნეობის და ერთი სახეობის ცხოველთა ან ფრინველთა მაგალითზე, შესაბამისი სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებების გაფორმებით.

მეორე ვარიანტი – ავადმყოფ ცხოველზე კურაციის ჩატარება, ავადმყოფობის ისტორიის შედგენა ეპიკრიზის ლიტერატურული გაფორმებით.

პირველი ვარიანტის მიხედვით საკურსო სამუშაოს შესრულებისას სტუდენტი ვალდებულია დასაწყისში შეაგროვოს ცნობები იმ მეურნეობაზე, სადაც ის ატარებს დისპანსერიზაციას, შემდეგი სტეპის მიხედვით:

1. მეურნეობის დახასიათება:

- ორგანიზაციის დასახელება და დაარსების წელი, გეოგრაფიული განლაგება;
- დაკავებული ტერიტორია, ამ ტერიტორიის გამოყენება, ნათესი, საძოვრები, სათიბი, მეცხოველეობის და სამეურნეო-ადმინისტრაციული შენობები და სხვა;
- მეურნეობის ძირითადი მიმართულება და დამატებითი დარგები;
- ეკონომიკური მაჩვენებლები – საწარმოო გეგმა და სახელმწიფოზე ჩაბარება როგორც მეცხოველეობის (ხორცი, რძე, კვერცხი და სხვა), ასევე სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები.

შემდეგ სტუდენტი ატარებს ერთი რომელიმე ზემოთ აღნიშნული სახეობის ცხოველის ან ფრინველის დისპანსერიზაციას.

2. ნახიზის დახასიათება

- ჯიში, ცხოველთა საერთო რაოდენობა; მათ შორის: მეწველი, მშრალები, დეკეულები, ხბოები და სხვა;
- ცხოველთა რაოდენობა ასაკის მიხედვით 3-დან 5-მდე, 6-დან 10-მდე, 11-დან 15 წლამდე და ზევით;
- საშუალო ცოცხალი წონა – მეწველთა, მშრალების, უშობლების, დეკეულების, ხბოების (ბონიტორების მონაცემებით);
- საშუალო სადღეღამისო და წლიური წველადობა, გეგმით და ფაქტიურად;
- ფურების და კურო-მწარმოებლების ექსპლუატაციის საშუალო ხანგრძლივობა;
- ცხოველთა ყოველწლიური გამოწუნების % და მათი მიზეზები;
- უნაყოფობის % და სერვისი პერიოდი;
- მასტიტით დაავადებული და მასტიტმოხდილი ფურების რაოდენობა;
- ნივთიერებათა ცვლის დარღვევით გამოწვეული დაავადებები – ოსტეოდისტროფია, ალიმენტური დისტროფია, კეტოზი, წინაუჭების ატონია და ჰიპოტონია, პერიკარდიტი, ტრავმული ხასიათის რეტიკულიტი, მშობიარობის შემდგომი პარეზი, მომყოლის შეჩერება, საშვილოსნოს გამოვარდნა და სხვა;
- მკვდრად დაბადებული ხბოების რაოდენობა; ახალშობილი ხბოების ცოცხალი წონა და მდგომარეობა;
- მოზარდის დაავადებები (დისპეფსია, რაქიტი, ბრონქოპნემონია და სხვა);
- იძულებით დაკლული და დაცემული ხბოების რაოდენობა და დაცემის მიზეზები;

- იმისათვის, რომ ნახირის კლინიკურ სტატუსზე გეჰონდეს წარმოდგენა, საჭიროა და აუცილებელი ჩატარდეს ჯვრის მთლიანი რაოდენობის დათვალიერება, ხოლო საერთო რაოდენობის 25-30%-ზე ჩატარდეს მთლიანი კლინიკური გამოკვლევა, 15-20%-ზე - შარდის, 5%-ზე - სისხლისა და 10-15%-ზე - რძის გამოკვლევა.

ჯვრის მთლიანი რაოდენობის დათვალიერებისას მთავარი ყურადღება ექცევა ცხოველის საერთო მდგომარეობას, შეხორცებას, კანის საფარველს, ჩლიქების რქოვანას, წამოდგომის რეაქციას და სხვა.

ცხოველის სრული კლინიკური გამოკვლევისას ატარებენ ცხოველის ზოგად აღწერილობას: ჯიში, სქესი, ასაკი, მიმართულება; აწარმოებენ ლიმფური კვანძების, ღორწოვანი გარსების, სხეულის ტემპერატურის, გულ-სისხლძარღვთა, სასუნთქი, საჭმლის მომწელებელი, შარდ-სასქესო, ნერვული და სისხლის სისტემების გამოკვლევას.

წვრილი რქოსანი პირუტყვის დისპანსერიზაცია

წვრილი რქიანი პირუტყვის დისპანსერიზაციის ჩატარებისას დასაწყისში სწავლობენ ფარის სინდრომატიკას, შემდეგი სქემის მიხედვით:

3. შარის ღახსიათმება

- ჯიში, ცხოველთა საერთო რაოდენობა; მათ შორის: დედა ცხვარი, ყოჩი-მწარმოებლები, ბატკნები და სხვა;
- საშუალო ცოცხალი წონა დედა ცხვრების, ყოჩი-მწარმოებლების, ბატკნების (ბონიტორების მონაცემებით);
- მატყლის ნაპარსის რაოდენობა (კგ) გაზაფხულზე და შემოდგომაზე;
- დედა ცხვრებისა და ყოჩების ექსპლუატაციის საშუალო ხანგრძლივობა;
- დედა ცხვრებისა და ყოჩების ყოველწლიური გამოწუნების პროცენტი და მათი მიზეზები;
- იძულებით დაკელისა და დაცემის პროცენტი და მისი მიზეზები;
- ბატკნების ცოცხალი წონა დაბადებისას და მათი ასხლეტის შემდეგ;
- მკვდრად დაბადებული, დაცემით ან იძულებით დაკლული ბატკნების პროცენტი და მიზეზები;
- ბატკნების დაავადებები (დისპეფსია, რაქიტი, ბრონქოპნემონია და სხვა);
- ნივთიერებათა ცვლის დარღვევით გამოწვეული დაავადებები - კეტოზი, ოსტეოდისტროფია, ალიმენტური დისტროფია, მატყლის ჭამა, მომყოლის შეჩერება, და სხვა.

იმისათვის, რომ გეჰონდეს ფარის კლინიკურ სტატუსზე წარმოდგენა, საჭიროა ყველა ფარიდან, სადგომიდან ამორჩევით 10-10 დედა ცხვარს გაესინჯოს სხეულის ტემპერატურა, სუნთქვა, პულსი და რუმინაცია 2 წუთში; ძელების მინერალიზაციის ხარისხის დასადგენად იკვლევენ ნეკნების და წელის ნეკნგანივი მორჩების ელასტიკურობას, კიდურების განლაგებას, მოძრაობის ხასიათს, წამოდგომის რეაქციას შეხებაზე, მადას და სხვა.

ცხოველის ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის პროცესების გასაკონტროლებლად ყოველი ფარიდან 5 დედა ცხვარში აწარმოებენ სისხლის, შარდის, რძის ბიოქიმიურ გამოკვლევებს, აგრეთვე საკვების ლაბორატორიულ ანალიზს ქვემოთ მოტანილი ტესტების მიხედვით (იხ. სისხლის, შარდის, რძისა და საკვების ლაბორატორიული გამოკვლევები).

დისკანსერული ოქცა

რადონი:

მეურნეობის დანახელება:

ცხოველთა სახეობა:

თარიღი:

რიგითი ნომერი	ცხოველთა სახელი ან საინვენტარო ნომერი	ასაკი	სხეულის ტემპერატურა	პულსი	სუნთქვა	რუმინაცია 2 წთ-ში	შეხორცება	კანი და საფარველი	ღორწოვაი ბარსები და კონიუნქტივა	ლიმფური კვანძები	სისხლის მიმოქცევის სისტემა	სუნთქვის სისტემა	საჭმლის მომწელებელი სისტემა	შარდ-სასქესო სისტემა	დიაგნოზი	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17

კომისია შემადგენლობით:

- 1.
- 2.
- 3.

ღორების დისპანსერიზაცია

ღორების დისპანსერიზაციის ჩატარებისას დასაწყისში სწავლობენ კოლტის სინდრომატიკას შემდეგი სქემის მიხედვით:

4. კოლტის დახასიათება

- ჯიში, ცხოველთა საერთო რაოდენობა; მათ შორის – დედა ღორები, კერატები, ქოსმენი – დაკოდილი ტახები, გოჭები;
- საშუალო ცოცხალი წონა დედა ღორების, კერატების, ქოსმენი – დაკოდილი ტახების, ნეზების, გოჭების;
- დედა ღორებისა და კერატების ექსპლუატაციის საშუალო ხანგრძლივობა;
- დედა ღორებისა და კერატების გამოწუნების, დაცემისა და იძულებით დაკვლის ყოველწლიური პროცენტი და მათი მიზეზები;
- დაუგრილებელი დედა ღორების პროცენტი;
- დაგრილებული დედა ღორების პროცენტი;
- ერთ სულზე მიღებული გოჭების რაოდენობა, გეგმით და ფაქტიურად;
- გოჭების ცოცხალი წონა მოგებისა და ასხლეტისას და მათი საშუალო სადღეღამისო წონამატი (ბონიტირების მონაცემებით);
- შეკვრად დაბადებული, დაცემული ან იძულებით დაკლული გოჭების პროცენტი და მათი მიზეზები;
- გოჭების დაავადებები (დისპეფსია, რაქიტი, ბრონქოპნევმონია და სხვა);
- ნივთიერებათა ცვლის დარღვევით გამოწვეული დაავადებები (კეტოზი და სხვა). იმისათვის, რომ გეგონდეს კოლტის კლინიკურ სტატუსზე სრული წარმოდგენა, ყველა სადგომიდან ამორჩევით 5–10 დედა ღორს იკვლევენ კლინიკურად (სხეულის ტემპერატურა, პულსი, სუნთქვა, ცხვირიდან გამონადენი, მადა და სხვა). ყოველი სადგომიდან ამორჩევით 5 დედა ღორს უტარებენ სისხლის, შარდის და საკვების გამოკვლევას ქვემოთ მოტანილი ტესტების მიხედვით. იძულებით დაკლული ან დაცემული როგორც დედა ღორების, ასევე გოჭების ღვიძლს იკვლევენ რეტინოლის (A₁ ვიტამინი) შემცველობაზე.

შრინველთა დისპანსერიზაცია

ფრინველთა სულადობის დახასიათების შესწავლას ახდენენ შემდეგი სქემის მიხედვით:

5. შრინველთა სულადობის დახასიათება

- ჯიში და ფრინველთა საერთო რაოდენობა; მათ შორის: კვერცხმდებლები, მამლები (დედალ-მამლების შეფარდება), სარემონტო მოზარდი, წიწილები და სხვა);
- საშუალო ცოცხალი წონა კვერცხმდებლების, წიწილების და სხვა (ბონიტირების მონაცემებით);
- კვერცხმდებლობა 1 ფრთაზე დღე-ღამეში გეგმით და ფაქტიურად;
- კვერცხმდებლების გამოწუნების, დაცემისა და იძულებით დაკვლის ყოველწლიური პროცენტი და მიზეზები;
- ყველა ჯგუფში ამორჩევით სწავლობენ ფრინველთა საერთო ყოფაქცევას ბუნებრივ პირობებში, კერძოდ, საკვების ჭამადობას (კენკეა), მძინარობას, კანის დერივატების შეფერილობას, ბუმბულცვენას, დამბლვებს და სხვა;
- ამორჩევით, ყოველ შენობაში ცალკეულ ეგზემპლიარებს უტარებენ თერმომეტრის, იკვლევენ პირის ღრუს, ხორხს (დათვალეირება და სხვა);
- დაცემის შემთხვევაში სიკვდილის მიზეზების დასადგენად სხვადასხვა ჯგუფებიდან ატარებენ რამდენიმე ეგზემპლიარის (3–5) პათანატომიურ გაკვეთას;

- ფაბრიკაში ინკუბატორის არსებობისას, საინკუბაციო კვერცხის ყველა პარტიიდან იღებენ 10-20 ცალ კვერცხს და იკვლევენ ნაჭუჭის სისქეს და სიმტკიცეს, ხვედრით წონას, ცილისა და ყვითრის ინდექსს, ყვითრში რეტინოლის (A₁ ვიტამინი), რიბოფლავინის (B₂ ვიტამინის) და სხვა შემცველობას;
- წიწილების გამოჩეკის პროცენტო; ემბრიონების კვდომის შემთხვევაში, ადგენენ სიკვდილის მიზეზს ემბრიონების გაკვეთით არანაკლები 100-სა ყოველი პარტიიდან;
- ამორჩევით ატარებენ კვერცხმდებლების სისხლის ლაბორატორიულ გამოკვლევას საერთო ცილების, კალციუმის, ფოსფორის, კაროტინის შემცველობაზე; ღვიძლში საზღვრავენ A ვიტამინის რაოდენობას.
ზემოაღწერილი ერთ-ერთი სახეობის ცხოველთა ან ფრინველთა დისპანსერიზაციის ჩატარების შემდეგ სწავლობენ მეცხოველეობის შენობების მდგომარეობას, კვების ტიპსა და დონეს, მოციონის ორგანიზაციასა და ხასიათს და სხვა მონაცემებს შემდეგი სქემის მიხედვით:

6. ცხოველთა შენობების მდგომარეობა (საპროზებები, შარბებები, სალორებები, საფრინველები)

- შენობის სახე და ტიპი, მისი (მდებარეობა) განლაგება და სიშორე დასახლებული პუნქტიდან და სხვა;
- სამშობიარო განყოფილების, იზოლიატორის, სახბორეს, ინდივიდუალური გალიების და სხვა არსებობა;
- განათება, ვენტილაცია, ტენიანობა, ტემპერატურა და სხვა;
- ნაკვლსაცავის არსებობა, მისი გამოყენება.

7. კვების ტიპი და დონე

- რაციონის ფაქტიური შემადგენლობა და რაოდენობა; კვების ტიპი;
- ცხოველთა უზრუნველყოფა პროტეინით, ნახშირწყლებით, კალციუმით, ფოსფორით და სხვა საკვების ფაქტიური სრულფასოვნების გათვალისწინებით;
- ნახშირწყლოვან-პროტეინოვანი და ცალციუმ-ფოსფოროვანი თანაფარდობა;
- საკვების ხარისხი ტოქსიკური დასნებოვნების მიხედვით; მუავე საკვებში ერბო-მჟავას, ძმარმჟავას, რძის მჟავასა და სხვა მჟავების არსებობა და თანაფარდობა ლაბორატორიული ანალიზის მონაცემებით;
- დარწყვლების ორგანიზაცია და წყლით უზრუნველყოფა.

8. მოციონის ორგანიზაცია და ხასიათი

- სასეირნო მოედნისა და გასადევარის მდგომარეობა და ხარისხი, სუფთა ჰაერზე ცხოველების სეირნობის დრო და რაოდენობა (სთ);
- ბაგური ან საძოვრული შენახვის დროს აქტიური მოციონის ორგანიზაცია და სხვა.

9. სისხლის, შარბის, რძის, კვრცხის, საკვების ლაბორატორიული ბაზოკვლევა

სისხლში იკვლევენ ჰემოგლობინის, ერითროციტების, ლეიკოციტების რაოდენობას, საერთო ცილას, კალციუმს, ფოსფორს, შაქარს და კეტონის სხეულებს.

შარდში იკვლევენ ხვედრით წონას, pH, გამჭვირეალობას, სუნს, ფერს, ცილას და კეტონის სხეულებს.

რძეში იკვლევენ ცხიმინობას, მჟავიანობას, ფერს, სუნს, გემოს და კეტონის სხეულებს.

შპს "საბურთალოს რაიონული ადმინისტრაცია"

ს ი ს ხ ჯ ი											შ ა რ ჯ ი						ვ ა კ ე				
№ რიგზე	ცხელთა ინვენტარიზაციის №	პემოგლობინი, გ%	ერთობლივობა, მლნ.	ლუკოციტი, ათასი	საერთო ცილა, მგ%	კალციუმი, მგ%	ფოსფორი, მგ%	შაქარი, მგ%	კაროტინი, მგ%	კმტო სხეულები, მგ%	ხედილობა	კმტო სხეულები, მგ%	შაქარი, მგ%	ცილა, მგ%	ფერი	სუნი	კომპონენტი	მედიანობა	კმტო სხეულები, მგ%	ბემო	სუნი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22

კომისია შემადგენლობით:

- 1.
- 2.
- 3.

საკვების ლაბორატორიული გამოკვლევა

№№ რიგზე	საკვების სახე	კალციუმი, მგ%	ფოსფორი, მგ%	კაროტინი, მგ%	პროტეინი, მგ%	ერობმევა, მგ%	მმარმევა, მგ%	შაქარი, მგ%	ნახშირწყლოვანი პროტეინოვანი უფარდება
1	2	3	4	5	6	7	8	9	10

კომისია შემადგენლობით:

- 1.
- 2.
- 3.

კვერცხის ლაბორატორიული გამოკვლევა

№№ რიგზე	საინკუბაციო კვერცხის პარტიის ნომერი	კუთრი წონა	წონა, გ	ნაჭუჭის სისქე, მმ	ნაჭუჭის სიმკაცე, მმ	ჟელორის ინდექსი	ცილის ინდექსი	რეტინოლი, მკგ
1	2	3	4	5	6	7	8	9

კომისია შემადგენლობით:

- 1.
- 2.
- 3.

კვერცხში იკვლევენ ნაჭუჭის სისქესა და სიმტკიცეს, კუთრ წონას, ცილისა და ყვიორის ინდექსს, აგრეთვე რეტინოლის, რიბოფლავინის და სხვა შემცველობას.

საკვებს იკვლევენ პროტეინზე, შაქარზე, კალციუმზე, ფოსფორზე, კაროტინზე, ვერბო-, ძმარ- და სხვა მჟავებზე, გამოჰყავთ ნახშირწყლოვან-პროტეინოვანი და კალციუმ-ფოსფოროვანი შეფარდება.

აღნიშნული მონაცემები შეაქვთ მეთოდურ მითითებაში დართულ ლაბორატორიული გამოკვლევის მეთოდურ მითითებაში.

კლინიკური და ლაბორატორიული გამოკვლევების საფუძველზე ცხოველთა და ფრინველთა მთელ სულაღობას ყოფენ სამ ჯგუფად:

1. კლინიკურად ჯანმრთელები;
2. დაავადებაზე საჭეკოები;
3. კლინიკურად დაავადებულები.

10. აღწერს გამოვლენილი ავადმყოფობის ეტიოლოგიას, მკურნალობას და პროფილაქტიკას დისპანსერიზაციის ჩატარებისას.

11. სახავს, როგორც შენახვის, მოვლის და კვების ზოგად ზოოტექნიკურ მოთხოვნებს, ასევე ნახირის გამოჯანმრთელების სამკურნალო-პროფილაქტიკურ ღონისძიებებს.

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებების შესრულების შემდეგ სტუდენტი ახდენს საკურსო შრომის ლიტერატურულ გაფორმებას შემდეგი სქემის მიხედვით:

ლიტერატურული მიმონიღვა

დისპანსერიზაცია. ამ თავში სტუდენტი გადმოსცემს ლიტერატურულ მონაცემებს დისპანსერიზაციაზე ზოგადად, ასევე აღწერს გამოსაკვლევ ცხოველთა დისპანსერიზაციის ჩატარების თავისებურებას.

საკუთარი გამოკვლევები

მეურნეობის დახასიათება. ამ თავში სტუდენტს მოჰყავს მონაცემები იმ მეურნეობის სამეურნეო-ადმინისტრაციულ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე, სადაც ის ატარებს ცხოველთა დისპანსერიზაციას.

დისპანსერული მონაცემები. ამ თავში სტუდენტს მოჰყავს დისპანსერული გამოკვლევის შედეგები, დისპანსერული რუკა, ლაბორატორიული მონაცემები მეთოდურ მითითებაზე დართული ფორმის მიხედვით და გადმოსცემს ამ მონაცემების ანალიზს.

აღწერს - დაავადების ეტიოლოგიას, მკურნალობას და პროფილაქტიკას (ამ თავში სტუდენტი ახასიათებს იმ დაავადებას, რომელიც მან აღმოაჩინა დისპანსერიზაციის ჩატარების დროს, ადგენს დაავადების გამომწვევ მიზეზს, აღწერს მათ მკურნალობას და სახავს პროფილაქტიკურ ღონისძიებებს).

ჩამოთვლის - ზოგად ზოოტექნიკურ მოთხოვნებს და სამკურნალო-პროფილაქტიკურ ღონისძიებებს (ამ თავში სტუდენტი სახავს ცხოველთა როგორც შენახვის, მოვლის და კვების ზოგად ზოოტექნიკურ მოთხოვნებს მოვალეობის დაკისრებით და შესრულების დროის მითითებით, ასევე ნახირის გამოჯანმრთელების სამკურნალო-პროფილაქტიკურ ღონისძიებებს).

საკურსო შრომის შესრულების მიერ ვარიანტი

მიერ ვარიანტით საკურსო შრომა სრულდება ავადმყოფობის ისტორიის სახით, შემდგომში ეპიკრიზის ლიტერატურული გაფორმებით ცხოველზე კურაციის ჩამტარებელი სტუდენტის მიერ.

ავადმყოფი ცხოველის კურაციას სტუდენტი იწყებს ცხოველის რეგისტრაციით დადგენილი ფორმით, კრებს ანამნეზს, ატარებს როგორც ზოგად – Status praesens, ასევე ორგანიზმის ცალკეული სისტემების გამოკვლევას (გულ-სისხლძარღვთა, სასუნთქი, საჭმლის მომნელებელი, შარდ-სასქესო და სხვა სისტემების).

მოჰყავს სისხლის, შარდის, კუჭის, ფაშის, შიგთავის, ფეკალის და სხვა ლაბორატორიული გამოკვლევების შედეგები.

ავადმყოფი ცხოველის სრული კლინიკური და ლაბორატორიული გამოკვლევების ჩატარების შემდეგ სტუდენტი სვამს დიაგნოზს და უნიშნავს მკურნალობას, რომელიც უნდა იყოს შეთანხმებული ან მეურნეობის ვეტექიმთან (სამკურნალო დაწესებულების), ან კურაციის ხელმძღვანელთან.

გრაფიკის გამოსახვისას სხეულის ტემპერატურა უნდა იყოს შავი ფერით, პულსის სიხშირე – წითელი, ხოლო სუნთქვა – ლურჯი.

დიაგნოზის დასმის პროცესში, აგრეთვე შემდგომ დღეებშიც, კურატორი იყენებს სახელმძღვანელოს, შესაბამის მონოგრაფიებს და სპეციალურ პერიოდულ ლიტერატურას.

კურაციის ჩატარებისას სტუდენტი-კურატორი ყოველდღე დილის 8-დან 9 სთ-მდე და საღამოს 17-დან 19 სთ-მდე უზომავს ორგანიზმის ტემპერატურას, საზღვრავს პულსის, სუნთქვის, რუმინაციის ხარისხს და რაოდენობას, ავადმყოფი ცხოველის ზოგად მდგომარეობას, ახორციელებს ცხოველთა კვებას, წმენდას და სხვა პროცედურებს, დაკავშირებულს მოვლა-შენახვის პირობებთან, ასევე ატარებს მკურნალობას.

ყველა ზემოთ აღნიშნული პროცედურები სტუდენტ-კურატორს შეაქვს ავადმყოფობის ისტორიის შესაბამის გრაფაში, ჩანაწერები კეთდება ლაკონურად, მაგრამ ისე, რომ ავადმყოფი ცხოველის ცალკეული სისტემის ფუნქციური მდგომარეობა, დაავადების ზოგადი და ადგილობრივი სიმპტომები, აგრეთვე პათოლოგიური ზონის კერაში მორფოლოგიური და ფუნქციური ცვლილებები ზუსტად ხასიათდება.

გრაფაში – „დაავადების მიმდინარეობა“ (Decursus morbi) სტუდენტი ჩაწერს შედარებით მნიშვნელოვან, ასევე შემდგომში მკურნალობის ზეგავლენით ან სხვა მიზეზებით გაჩენილ სიმპტომებს, რომელიც დამახასიათებელია ცხოველის მდგომარეობის პირველდაწყებითი ცვლილებებისა და პათოლოგიური კერისათვის.

გრაფაში „თერაპია, დიეტა, შენახვის რეჟიმი“ (Therapia) სტუდენტი-კურატორი ჩაწერს მის მიერ შესრულებულ სამკურნალო პროცედურებს (ინექციებს, სამკურნალო წამლო ნივთიერებების მიცემას, ფიზიოთერაპიულ პროცედურებს და სხვ.); ჩაწერს მკურნალობის მიზნით გამოყენებულ ნამდვილ ფორმებსა და დოზებს, აგრეთვე დიეტას, მოციონს, ავადმყოფი ცხოველის შენახვის პირობებს, აღნიშნავს სისხლის, შარდის და სხვა ადებს ლაბორატორიული გამოკვლევებისათვის.

ავადმყოფი ცხოველის გამოწერის დღეს ავადმყოფობის ისტორიაში აღწერს მის მდგომარეობას, მორფოლოგიური და ფუნქციური დარღვევების აღდგენის ხარისხის აუცილებელი ჩვენებით.

იმ შემთხვევაში, როდესაც მკურნალობა აღმოჩნდება უშედეგო, ცხოველი გამოიწუნება და გაიგზავნება უტილიზაციისათვის, რაც აღნიშნება ავადმყოფობის ისტორიაში; დაცემული ცხოველი ექვემდებარება გაკვეთას, რასაც კურატორი უნდა დაეწეროს სავალდებულო წესით და გაკვეთის ოქმი დაერთოს ავადმყოფობის ისტორიას.

ავადმყოფობის ისტორია, ძირითადი იურიდიული დოკუმენტი, უნდა იყოს ობიექტური, მოკლედ და მკაფიოდ (ნათლად) უნდა ასახავდეს ავადმყოფი ცხოველის მდგომარეობას და მკურნალობას, მის გამოჯანმრთელებამდე დამოწმებული და ბეჭედდასმული მეურნეობის (სამკურნალო დაწესებულების) ექტეკიმის ან კურაციის ხელმძღვანელის მიერ.

სტუდენტი-კურატორი ვალდებულია ავადმყოფობის ისტორიას დაურთოს ეპიკრიზი. ეპიკრიზის ლიტერატურული გაფორმება ხდება შემდეგი სქემის მიხედვით:

1. დიაგნოზის დასაბუთება. ეპიკრიზის ამ თავში სტუდენტი ამტკიცებს მის მიერ დასმული დიაგნოზის სისწორეს, ან შეაქვს მასში შესატყვისი შესწორებანი ანამნეზის, კლინიკური სიმპტომების, ლაბორატორიული მონაცემების და ლიტერატურული მიმოხილვის საფუძველზე.
2. ეტიოლოგია. ამ თავში სტუდენტს ლიტერატურული მიმოხილვის საფუძველზე მოჰყავს ორგანიზმზე მოქმედი გარეგანი და შინაგანი (შენახვის პირობები, კვება, ექსპლუატაცია და სხვა), ხელშემწყობი და გამაპირობებელი ფაქტორები მოცემულ დაავადებაზე.

ამ ფონზე ანამნეზისა და გამოკვლევის შედეგების საფუძველზე აღწერს ხელშემწყობ და გამაპირობებელ მიზეზებს, რომლებიც იწვევენ საკურაციო ცხოველის ავადმყოფობას.

იმ შემთხვევაში, როდესაც კურატორს არა აქვს ცნობები დაავადების ეტიოლოგიაზე, ის სავარაუდოდ მინც აღწერს მას, ლიტერატურულ მონაცემებზე და ავადმყოფობის ისტორიაზე დაყრდნობით.

3. პათოგენეზი. დაავადების პათოგენეზის გადმოცემამდე, აუცილებელია თერაპიის სახელმძღვანელოს მონაცემების სარგებლობა. პათოგენეზის აღწერისას, საჭიროა მიეთითოს, თუ დაავადების რომელ სტადიაში დაეწყო ცხოველს მკურნალობა და შემდეგ როგორ შეიცვალა პათოგენეზი მკურნალობის ხემოქმედებით, მოვლა-შენახვითა და კვებით.

4. კლინიკური სურათი. დაავადების კლინიკური სურათის აღწერაც ხდება ლიტერატურული მონაცემების გათვალისწინებით. სტუდენტ-კურატორმა წაკითხული ავადმყოფობის ისტორიის ცნობებით უნდა გაიაზროს და უჩვენოს, თუ როგორ იცვლება ზოგადი და ადგილობრივი კლინიკური ნიშნები და ლაბორატორიული მანკელებლები დაავადების მიმდინარეობისას და თერაპიის სხვადასხვა მეთოდებისა და საშუალებების შედარებით გამოყენებისას. ამისათვის აუცილებელია ზოგადი მდგომარეობის, გარემო გამლიზიანებლებზე რეაქტიულობის, მადის და ფიზიოლოგიური მანკელებლების (გულის მოქმედება, ცოხნა, ფაშეის, ნაწლავების მოტორიკა, რძის რაოდენობა და სხვ.) ცვლილებების დინამიკური აღწერა და გაანალიზება. ამ ფონზე საჭიროა მოცემული დაავადებისათვის დამახასიათებელი ზოგადი და სპეციფიკური სიმპტომების შედარება სისხლის, შარდის, ფეკალის და ლაბორატორიული გამოკვლევების მანკელებლებთან. ლაბორატორიული მონაცემები უნდა იყოს ცხრილებში. ეპიკრიზის ამ განაკვეთში უნდა იყოს აგრეთვე ავადმყოფი ცხოველის ფოტოსურათები მკურნალობამდე და მის შემდეგ, სასურველია დაავადების სხვადასხვა პერიოდისა და სტადიისათვის დამახასიათებელი რამდენიმე ფოტოსურათი. აღწერას ექვემდებარება რენტგენოგრაფები და სხვ. მონაცემები (თუ ისინი არის).

5. პროგნოზი. პროგნოზის დასაბუთებისას საჭიროა აღინიშნოს, თუ როგორია ავადმყოფი ცხოველის სიცოცხლისუნარიანობის, მისი მორფოლოგიური ფუნქციური დარღვევების გამოსავლის შესაძლებლობა, წინასწარ განჭვრეტა, გამოჯანმრთელების შემდეგ რამდენად უპასუხებს სამეურნეო-ეკონომიკურ მოთხოვნებს.

6. **მკურნალობის დასაბუთება.** ამ განაკვეთს წამმდგარება ცნობები სახელმძღვანელო და სპეციალური ლიტერატურიდან დაავადების მკურნალობის მეთოდებზე. სამკურნალოდ გამოყენებული ამორჩეული წამლეული საშუალებების ფარმაკოდინამიკურ აღწერას, კურატორი ასაბუთებს მეცნიერულად.

დაუშვებელია გამოყენებული წამლეული საშუალებების ფარმაკოდინამიკური დახასიათების მექანიკური გადაწერა სახელმძღვანელო და სხვა წყაროებიდან.

იმ შემთხვევაში, როდესაც ერთდროულად გამოყენებულია რამდენიმე ფარმაკოლოგიური საშუალება, უნდა აღინიშნოს, რომ მათი გამოყენებისას არაა უკუჩვენება და შეხამება მიზანშეწონილია.

შემდეგ კურატორი აკეთებს დასკვნას მის მიერ ჩატარებული მკურნალობის სისწორეზე, მის ეფექტურობაზე, ან გამოავლენს შეცდომებს როგორც სამკურნალო საშუალებების არჩევანზე, ასევე სამკურნალო პროცედურის შესრულებაზე.

7. **დაავადების პროფილაქტიკა.** ამ განაკვეთში კურატორი წყაროებიდან და სხვა ლიტერატურიდან, აგრეთვე დაავადების გამომწვევი მიზეზების ანამნეზური მონაცემების საფუძველზე აღწერს ზოგად და კერძო პროფილაქტიკას. ყოველივე ზემოთ აღწერილის საფუძველზე კურატორი ასაბუთებს პროფილაქტიკურ ღონისძიებებს მსგავსი დაავადებების დაუშვებლობის შესახებ მეცხოველეობის ან სასუქ მეთრნეობაში.

8. **დასკვნა.** მასში კურატორი აჯამებს ჩატარებულ კურაციას და განსაზღვრავს, თუ რამდენად სწორად დაისვა დიაგნოზი და ჩატარდა მკურნალობა; რა მდგომარეობაში გამოეწერა ცხოველი; როგორი უნდა იყოს მისი მოვლა-შენახვა, კვება და სხვ. რა ღონისძიებები უნდა გატარდეს, რათა არ წარმოიშვას რეციდივი; როგორია მკურნალობაზე გაწეული დანახარჯი და ეკონომიკური ზარალი (დანაკარგი) პროდუქტიულობის დროებით დაქვეითებასთან დაკავშირებით და სხვ.

ორივე შემთხვევაში, საკურსო შრომის როგორც პირველი, ასევე მეორე ვარიანტის შესრულებისას, ბოლოს უნდა მიეთითოს გამოყენებული ლიტერატურის სია, რომელიც კეთდება ავტორების ალფავიტის მიხედვით შემდეგი სქემით: დასაწყისში იწერება ავტორი და მისი ინიციალები, შემდეგ სახელმძღვანელოს, მონოგრაფიის დასახელება, შემდეგ გამომცემლობა და გამოცემის წელი.

საკურსო შრომები არის დოკუმენტი, რომელიც ითვლება სტუდენტის კლინიკური მოზადების მახასიათებლად არაგადამდებ დაავადებებში; ისინი უნდა ატარებდნენ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ელემენტებს, გაფორმებული უნდა იყოს აკურატულად, გარკვეული კალიგრაფიით (ხელით), ლიტერატურული ენით.

საკურსო შრომას ხელს აწერს კურატორი, ესმება თარიღი და ბარდება კათედრას ყდაში ჩასმული ან ცალკე პაკაში.

საკურსოს დაცვა ტარდება ან აკადემიურ ჯგუფში ან კურაციის ხელმძღვანელ პედაგოგთან, კათედრის ერთ-ერთი თანამშრომლის თანდასწრებით.